ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი № 2

„4" „[illegible]" 2017 წელი

ერთი მხრივ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი"), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისათვის წარმოადგენს რექტორი **თეონა ხუფენია** და მეორე მხრივ შ.პ.ს. ტელე-რადიო კომპანია „ოდიში" (შემდგომში ტელე-რადიო კომანია „ოდიში) რომელსაც წარმოადგენს დირექტორი – **დავით გრიგოლია** საქართველოს კანომდებლობისა და მხარეების სადამფუძნებლო დოკუმენტებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1

მემორანდუმის საგანი

1.1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტსა და შ.პ.ს. ტელე-რადიო კომპანია „ოდიში"-ს შორის ურთიერთთანამშრომლური ურთიერთობების დამყარება, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული განათლების განხორციელებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების შედეგებით გათვალისწინებული პრაქტიკული/დარგობრივი კომპონენტებისა და სტუდენტთა პრაქტიკის გავლის მიზნით.

მუხლი 2

მხარეთა უფლება–მოვალეობანი

2.1. ამ მემორანდუმით დასახული მიზნების მისაღწევად შ.პ.ს. ტელე-რადიო კომპანია „ოდიში" იღებს ვალდებულებას სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად უზრუნველყოს ხელმისაწვდომი მატერიალურ – ტექნიკური ბაზა, აღჭურვილობა (მათ შორის ფოტოსამონტაჟო პროგრამა) მასალა-ნედლეული და პროფესიული სტუდენტებისათვის საგანგებოდ გამოყოს პრაქტიკის ხელმძღვანელი.

2.2. პრაქტიკის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტები შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკის გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით გაივლიან პრაქტიკას, რეალურ სამუშაო პირობებში მიიღებენ პროგრამით განსაზღვრული შედეგების შესაბამის პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს და კომპეტენციებს.

2.3. მემორანდუმით დასახული მიზნების რეალიზაციისათვის შ.პ.ს. ტელე-რადიო კომპანია „ოდიში" იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის

პროფესიული სტუდენტები ადეკვატური და უსაფრთხო სასწავლო გარემოთი, მოახდინოს მათ მიერ პრაქტიკის გავლის მონიტორინგი და შეაფასოს თითოეული სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით.

2.4. პრაქტიკის პროცესის წარმართვა ხორციელდება შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ.

მუხლი .3.

მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

მუხლი .4.

სხვა პირობები

მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

4.1. მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გასავლელად სასწავლო უნივერსიტეტიდან გაგზავნილი სტუდენტების ოდენობა და პრაქტიკის ვადები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შესაბამისად, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე განახლებადი ხელშეკრულებით.

4.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

4.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს თან ერთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო გეგმა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა მოდულების შესაბამისად.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

თეონა ხუფენია _____

საკონტაქტო ტელ: 577 41 90 41

მისამართი.: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14

Ш.პ.ს. ტელე-რადიო კომპანია „ოდიში“-ს დირექტორი

დავით გრიგოლია _____

საკონტაქტო ტელ: 595 90 01 55

მისამართი: ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი N19